

# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ნდობის სამოქმედო გეგმა

## შესავალი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სასამართლო სისტემის მაკოორდინირებელ, ხარისხიანი და ეფექტური მართლმსაჯულების ხელშეწყობისათვის შექმნილ დამოუკიდებელ ორგანოს წარმოადგენს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სასამართლო ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობისა და რწმენის განმტკიცებას.

დინამიური სამართლებრივი და სოციალური გარემოს გათვალისწინებით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიიჩნევს, რომ აუცილებელია საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ნდობის სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და მისი აპარატის სახელმძღვანელო დოკუმენტი იქნება.

წინამდებარე გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა რგოლის წარმომადგენლებმა. დოკუმენტის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობით დაინტერესებული მხარეების, სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და ზოგადად მოქალაქეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები.

სამოქმედო გეგმა შემუშავდა მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის (JILEP) იურიდიული მრჩევლის, მარკ უესტის უშუალო მონაწილეობით.

## 1. ძირითადი მიზნები:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ნდობის სამოქმედო გეგმის ძირითადი მიზნებია:

- ა) მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის განმტკიცება;
- ბ) საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სასამართლოს საქმიანობის შესახებ;
- გ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საზოგადოებასთან ხშირი კონტაქტი და ნდობის მოპოვება;
- დ) საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის უზრუნველყოფა.

## 2. აუდიტორია

საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ნდობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საზოგადოების ცნება მოიცავს აუდიტორიის სხვადასხვა ჯგუფებს, კერძოდ:

- ა) სამართლებრივ საზოგადოებას;
- ბ) მოქალაქეებს და სამოქალაქო საზოგადოებას;
- გ) მედიას.

## 3. შესრულების ვადა

საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ნდობის სამოქმედო გეგმა განახლებადია ყოველი კალენდარული წლის ბოლოს. გეგმა ექვემდებარება განახლებას გასული წლის მიღწევებისა და სირთულეების გათვალისწინებით.

## 4. პასუხისმგებელი ერთეულები

საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ნდობის სამოქმედო გეგმის განხორციელებას უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატი.

საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ნდობის სამოქმედო გეგმის საფუძველზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტები შეიმუშავებენ კონკრეტულ აქტივობებს და განხორციელების შესაბამის გრაფიკებს.

## 5. შიდა კომუნიკაცია

საზოგადოებასთან კომუნიკაცია, როგორც ინფორმირებულობისა და გამჭვირვალობის განგრძობადი პროცესი, უშუალოდ იწყება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. აღნიშნული გულისხმობს:

- ა) საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ნდობის სამოქმედო გეგმის ყოველწლიურად შემუშავებას და დამტკიცებას;
- ბ) საბჭოს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას, რაც მოიცავს: საზოგადოებასთან ურთიერთობაზე ორიენტირებული შიდა ტრენინგების ორგანიზებას, გასვლით სემინარებს, ტრენინგებს და საუკეთესო პრაქტიკის შესწავლას;
- გ) საბჭოს რეგულარულ (კვარტალური) შეხვედრებს, საბჭოს სხდომებისა და სხვა ღონისძიებების შესახებ საზოგადოების წინასწარ ინფორმირებას.

## 6. კომუნიკაცია სამართლებრივ საზოგადოებასთან

კომუნიკაცია სამართლებრივ საზოგადოებასთან გულისხმობს:

- ა) იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მოსამართლეებისათვის სემინარებისა და ტრენინგების ორგანიზებაში ხელშეწყობას;
- ბ) მოსამართლეების ინფორმირებას სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული კანონპროექტების თაობაზე;
- გ) სასამართლოებს შორის სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრების მოწყობას;
- დ) მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მონაწილე პირებთან (პროკურორები, ადვოკატები) სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას;
- ე) მართლმსაჯულების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრებს;
- ვ) იურიდიული ფაკულტეტის დამამთავრებელი და დამამთავრებელის წინა კურსის სტუდენტების სტაჟირებას საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.

## **7. კომუნიკაცია მოქალაქეებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან**

კომუნიკაცია მოქალაქეებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან გულისხმობს:

- ა) ვებ-გვერდის გამართულ ფუნქციონირებას;
- ბ) „ცხელი ხაზის“ 24 საათიან მუშაობას;
- გ) ღია კარის დღის მოწყობას მოქალაქეებისათვის;
- დ) სამუშაო შეხვედრებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო დონორებთან;
- ე) ვიზიტებს საქართველოს რეგიონებში და ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრას;
- ვ) სოციალურ პროექტებში მონაწილეობას;
- ზ) სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტების მოწვევას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში და მათთვის ღია კარის დღის მოწყობას;
- თ) მართლმსაჯულების თემაზე სტუდენტთა ნაშრომების კონკურსის გამართვას.

## **8. კომუნიკაცია მედიასთან**

კომუნიკაცია მედიასთან გულისხმობს:

- ა) მჭიდრო ურთიერთობას ელექტრონულ, ბეჭდვით და სოციალური ქსელის მედიასთან;
- ბ) პრეს-კონფერენციების მოწყობას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მედიისათვის საინტერესო და მნიშვნელოვან სიახლეებზე;
- გ) ექსკლუზიურ ინტერვიუებს ჟურნალისტებისათვის;
- დ) სატელევიზიო /რადიო გადაცემებში და „თოქ-შოუებში“ მონაწილეობას;
- ე) ახალი მედია საშუალებების – ბლოგების და ონლაინ საინფორმაციო არხების გამოყენებას;
- ვ) მედია მონიტორინგს და ჟურნალისტებისათვის მოსაზრებების მიწოდებას;

- ზ) პრეს- რელიზების გადაცემას ჟურნალისტებისათვის ღონისძიებების ჩატარებამდე;
- თ) მედიისათვის პუბლიკაციური მასალების მომზადებას;
- ი) მედიის ტრენინგს;
- კ) ჟურნალისტებისათვის ყოველწლიური კონკურსების მოწყობას;
- ლ) მედია ტურების მოწყობას, ჟურნალისტებისა და მოსამართლეების შეხვედრების ორგანიზებას;
- მ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ დოკუმენტური ფილმების მომზადებას და ეთერში გაშვებას;
- ნ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ საზოგადოებრივი რეკლამების მომზადებას და ეთერში გაშვებას;
- ო) სატელევიზიო გადაცემის მომზადებას, რომელიც ასახავს მოსამართლის/საბჭოს წევრის ერთ სამუშაო დღეს და ეთერში გაშვებას.